# ევროკავშირი

## კანონის უზენაესობის, სამართლის და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

### კარგი დასაწყისი და სამომავლო გამოწვევები

მას შემდეგ, რაც ევროკავშირი გაფართოვდა და თორმეტი ახალი ქვეყანა მოიცვა, კიდევ უფრო გაღრმავდა ურთიერთობა ევროკავშირს, საქართველოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთ საზღვრებზე განლაგებულ ქვეყნებს შორის. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის წყალობით დამყარებული მჭიდრო კავშირი გულისხმობს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას საერთო ფასეულობების – კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების – განმტკიცებისა და ხელშეწყობისაკენ. ეს სამი პრიორიტეტი ჩართულია ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმაში, რომელშიც ჩამოყალიბებულია სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის განმტკიცებაზე ორიენტირებული სტრატეგიული რეფორმები. ევროკავშირი აპირებს, კიდევ უფრო გააღრმაოს თავისი კავშირები საქართველოსთან სასამართლოს, პროკურატურის, პენიტენციური სისტემის, პრობაციის, პოლიციის და იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირების პროცესის მხარდაჭერით და დემოკრატიული ინსტიტუტების – მათ შორის სახალხო დამცველის სამსახურის – განვითარების ხელშეწყობით.

2006-დან 2010 წლამდე ევროკავშირმა საქართველოს იუსტიციის სისტემის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით 22 მილიონი ევრო გამოუყო

### სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა

2006-დან 2010 წლამდე ევროკავშირმა საქართველოს კანონის უზენაესობის დამკვიდრებაში დახმარების სახით დაახლოებით 22 მილიონი ევრო გამოუყო. ეს დახმარება გავრცელდა სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე როგორც სახელმწიფო დაწესებულებებზე, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებზეც.

დღეს ევროკავშირი სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ძირითადი დონორია: იგი დახმარებას უწევს სახელმწიფო დაწესებულებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. არაერთი პროგრამა განხორციელდა გაერო-სთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით.

დღეს ევროკავშირი სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ძირითადი დონორია

დახმარება შეეხო:

- სისხლის სამართლის სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებს, და
- სახალხო დამცველის სამსახურის, სამოქალაქო საზოგადოებისა და იმ სხვა არასამთავრობო სუბიექტების როლის გაძლიერებას, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანის უფლებების შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და ამ უფლებების დაცვის ქმედით მონიტორინგს.

თავისი პროგრამებით ევროკავშირი დახმარებას უწევს საქართველოს:

- უფრო ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებაში: ყურადღება გამახვილებულია კანონების შემუშავებასა და აღსრულებაზე მომუშავე ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის გაზრდაზე. ეს უზრუნველყოფს სისხლის სამართლის სისტემის მექანიზმების გამჭვირვალობას და პროგნოზირებადობას; და
- ეფექტიანი მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებაში მოსახლეობის წინაშე სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

22 მილიონი ევროდან ევროკავშირი 2009-2010 წლებში 15 მილიონ ევროს უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხავს. თუკი საქართველოს მთავრობა გარკვეულ პირობებს დააკმაყოფილებს:

- გააგრძელებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფას, კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, მაგალითად, შემოიღებს სასწავლო და სარეაბილიტაციო პროგრამებს არასრულწლოვანი პატიმრებისთვის და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის დაწესებულ მინიმალურ ასაკს 12-დან 14 წლამდე გაზრდის;
- გააუმჯობესებს არასრულწლოვანთა საცხოვრებელ პირობებს, შექმნის მათთვის სასწავლო პროგრამებს;

### ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა

„ევროკავშირი 27 წევრი ქვეყნისგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ და საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ერთად შექმნეს სტაბილური სივრცე დემოკრატიის და მდგრადი განვითარებისთვის. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლებები. ევროკავშირის ამოცანა სწორედ ამ მიღწევების და ფასეულობების გაზიარებაა მის საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.“

European Union

- ხელს შეუწყობს არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში;
- დაამკვიდრებს ქმედითი იურიდიული დახმარების მომსახურებას სახელმწიფო იურისტების მხრიდან, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის;
- სახალხო დამცველის სამსახურს ქვეყნის მასშტაბით ადამიანის უფლებათა დაცვაზე მონიტორინგის პირობებს შეუქმნის.

ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური დიალოგის პროცესში. გარდა წამების პრევენციისთვის დადგენილი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისა, 2009 წელს აღსანიშნავი მიღწევა იყო ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება. დახმარება შეეხო ძირითადი თავისუფლებების, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო მართვისა და საჯარო ფინანსების მართვის სფეროებს. საქართველოში სტაბილური დემოკრატიის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები ეფექტიანად მოქმედებდნენ. ამ სფეროში ევროკავშირმა დააფინანსა პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა ადამიანური რესურსების და მენეჯმენტის რეფორმირებას, სპეციალური ტრენინგების ჩატარებას სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებების სფეროში, აგრეთვე, საკომუნიკაციო ქსელების ჩამოყალიბებას შესაბამისი სტრუქტურების საოფისე აპარატურით და საავტომობილო საშუალებებით აღჭურვას.

15 მილიონი ევრო ჩაირიცხა უშუალოდ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისთვის

გარდა ამისა, ევროკავშირი ხელს უწყობს სამოქალაქო რეესტრის და ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმირებას უფრო ქმედითი დეცენტრალიზაციის მისაღწევად.

**სამი პრიორიტეტი: სამართლიანობა, თავისუფლება და უშიშროება**

თანამშრომლობის კიდევ ერთი პრიორიტეტული სფეროა საზღვრებისა და მიგრაციის, მათ შორის რეადმისიის, ვიზებისა და თავშესაფრის საკითხების მართვა, ასევე ბრძოლა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ - მაგალითად, მიგრანტების უკანონოდ გადაყვანის, ტრეფიკინგის ან ცეცხლსასროლი იარაღით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ.

6 მილიონი ევრო იქნა გამოყოფილი ადამიანებით ტრეფიკინგთან ბრძოლისა და საზღვრის მართვის გაუმჯობესების ხელშესაწყობად.

თანამშრომლობის ამ პროცესის ხელშესაწყობად რეგიონულ დონეზე ხორციელდება „სამხრეთ კავკასიის საზღვრის ინტეგრირებული მართვის პროგრამა“ (6 მილიონი ევრო). სულ ახლახანს დასრულდა „ნარკოტიკებთან ბრძოლის სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამა“ (7,5 მილიონი ევრო). გამოყოფილი იქნა მცირე გრანტები ტრეფიკინგის პრობლემასთან გასამკლავებლად. ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის გამომწვევ მიზეზების, განსაკუთრებით სიღარიბის და უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

**დახმარება არასრულწლოვან პრობაციონერთათვის**

არასრულწლოვან დამნაშავეთა რეაბილიტაცია ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმირებაში გაწეული დახმარების პრიორიტეტია.

ადვოკატირება, არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი მიზნობრივი ტრენინგი და სასწავლო პროცესში ჩართვა წარმატებით განხორციელდა.
ამის მაგალითია პროექტი „აჭარაში არასრულწლოვანთა ადვოკატირების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება“.

ნოდარი ერთ-ერთი ის ახალგაზრდაა, რომელსაც დაეხმარა დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული პროექტი. ნოდარის ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს და მის გარდა ექვს შვილს ზრდის. 16 წლის ასაკში იგი დააკავეს მახინჯაურში ჯართის ქურდობისთვის, მაგრამ დემოკრატიის ინსტიტუტის შუამდგომლობით ოთხწლიანი პატიმრობა მას ხუთწლიანი პირობითი მსჯავრით შეეცვალა. ნოდარმა რესტორანში დაიწყო მუშაობა. პროგრამის ფარგლებში ნოდარმა გაიარა კომპიუტერის, მანქანის მართვის და რუსული ენის კურსები, თუმცა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ დასაქმდა და ოჯახის რჩენა შეუძლია. ამ პოზიტიური პროექტის შემდეგ აჭარის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სახელმწიფო დაფინანსება გამოყო არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა რეაბილიტაციისთვის. ამის შედეგად განხორციელდა კიდევ ერთი ინიციატივა: რეაბილიტაციის პროგრამა არასრულწლოვანი კანონდამრღვევებისთვის. პროექტი წამოიწყო დემოკრატიის ინსტიტუტმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის გაგრძელების სახით. ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას მიეცა მდგრადი სახე სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგულარული დაფინანსების წყალობით.

ევროკავშირის
წარმომადგენლობა
საქართველოში
ნინო ჩხეიძის 38
თბილისი 0102,
საქართველო
ტელ.: (995 32) 943763
ფაქსი: (995 32) 943768
DELEGATION-GEORGIA@
ec.europa.eu
www.delgeo.ec.europa.eu